პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი სუთშაბათი 29 მაისი № 123 (17766)

ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: საერთაშორისო ეკიპაჟი (მარცხნიდან მარჯვნივ) ვალერი კუბასოვი, ვალერი რიუმინი, ლეონიდ პოპოვი და ბერტალან ფარკაში.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

დავძლიოთ უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა!

ზონალური თათბირები სოფლის მეურნეობის საკითხებზე

წლევანდელი ამინდის მკაცრმა პირობებმა სერიოზული სიძნელენი შეუქმნეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს. გაჭიანურებულმა ზამთარმა, შუა გაზაფხულზე სუსხმა და თოვამ, ხშირმა გადაუღებელმა წვიმებმა დააყოვნეს ჩაისა და სხვა სოფლის მეურნეობის კულტურების ვეგეტაცია, გადასწიეს თესვის ვადები, არ მისცეს სოფლის მშრომელებს მინდვრებსა და პლანტაციებში მუშაობის შესაძლებლობა.

იმისათვის, რომ ავინაზღაუროთ დანაკლისი, დავძლიოთ ჩამორჩენა, საჭიროა მაქსიმალურად დავრაზმოთ სოფლის მეურნეობის მშრომელები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, თითოეული კომუნისტი.

საგაზაფხულო სახოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატება, მოსავლის ბედი, საზოგადოებრივი მეცხოველეობის მაჩვენებლების შემდგომი გაუმჯობესება მნიშვნელოვან წილად არის დამოკიდებული ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უნარიან მეურნეობრიობაზე, ინიციატივაზე, გერგილიანობაზე, სიმტკიცეზე, სოფლად მათ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაზე. ეს ამოცანები ზუსტადაა იყო ჩამოყალიბებული ამას წინათ გაბრთულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინა პლენუმების გადაწყვეტილებებში, სოფლის მეურნეობის საკითხებზე. სოფლის მეურნეობის წარმოებასთან ასე თუ ისე დაკავშირებული სოფლის თითოეული მშრომელისათვის, თითოეული კოლექტივისათვის ამ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გაცნობას, მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წლის გადაუდებელ ამოცანებს მიეძღვნა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სოფლის მეურნეობის რუსაკების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკების, სპეციალისტების, მეცნიერების ზონალური თათბირები, რომლებიც 25-26-27 მაისს გაიმართა გალში, ზუგდიდში, სამტრედიაში, მახარაძესა და ქობულეთში.

თათბირებზე მოისმინეს ინფორმაციები მინდვრებში, პლანტაციებში, ფერმებში, სამუშაოთა მიმდინარეობის და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც პარტიული ორგანიზაციები აზორეულებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან რესპუბლიკის მშრომელები ღირსეული საქმეებით აღნიშნონ სკკპ XXVI ყრილობა, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავი.

თათბირებზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

ვუტევთ მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნებს

ამ დღეებში ამაყად მოვახსენეთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამბანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ საქართველოს მეჩაიეებმა შეასრულეს თავიანთი ხუთწლიანი დავალება. ახლა მეჩაიენი მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, რათა წარმატებით შეასრულონ 1980 წლისათვის ნაკისრი ვალდებულებანი. მით უფრო ვერ შევურიგდებით, ხაზგასმით აღინიშნა თათბირებზე, მოსავლის აღებაში ჩამორჩენას, რომელიც უამინდობით არის გამოწვეული.

გაჭიანურებულ გაზაფხულთან დაკავშირებით შემაშფოთებელი ვითარება შეიქმნა, საფრთხეშია სეზონური მინდვრის სამუშაოთა დროული დამთავრება. საქართველოს მეჩაიეობის ისტორიაში ჯერ არასოდეს არ ყოფილა ასეთი ძნელი წელი, ამიტომ პლანტაციათა მეჩონელებმა დიდნაყოფიერად უნდა იმუშაონ, მთლიანად გამოიყენონ ყოველი დარიანი დღე და საათი.

სანაქებო ინიციატივა გამოიჩინეს მახარაძის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ფოთოლს კრეფენ დეკეზონთ: „მეტი ჩაი ფოთლის კრეფისა და გადამუშავების სეზონის პირველ ნახევარში“. მეჩაიეები განთიადიდან დაღამებამდე მუშაობენ და ცდილობენ მაქსიმალურად ნაყოფიერად კრეფონ ჩაი ხელითა თუ მექანიზებული წესით. ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კოლმეურნეობაში სადაცაა ამოქმედდება მიმღები პუნქტი, რომელსაც ნედლეულს გადასამუშავებელი საამქრო ექნება. ამრიგად, აქ ფოთოლს მიღებისთანავე გადამუშავებენ ნახევარფაბრიკატად, ხოლო დახარისხება მოხდება შემოქმედის ჩაის ფაბრიკაში.

ცუდია, რომ ზოგან გულგრილად ეკიდებიან ჩამორჩენას, დროებითი მოვლენა ჰგონიათ და შემდგომში მდგომარეობის თავისთავად გაუმჯობესების იმედი აქვთ. არადა, ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ამინდმა კვლავ გვიმტყუნოს. წლევანდელი წელი ჭირვეულია, ვინ იცის რას გვიმზადებს? ამიტომ ზუსტად უნდა განვსაზღვროთ ამოცანები, მათი შესრულების ვადები თითოეული მეურნეობის მიხედვით, შევქმნათ შრომითს კოლექტივებში მაღალნაყოფიერი მუშაობის პირობები, არ დავუშვათ არც დროის, არც ნედლეულის დანაკარგები. ხომ ცნობილია, რომ გასულ, მეჩაიეთათვის ხელსაყრელ წელსაც კი, გალის, ზუგდიდის, გუდაუთის რაიონების ფაბრიკებში უნდა აღამებდნენ და ათენებდნენ.

მოსავლის შეუფერხებელი მიღება და მისი გადამუშავება უპირველესი პრობლემაა ყველა მეჩაიეობის რაიონისათვის. ალბათ, ამ ამოცანას ვერ გადაწყვეტენ ჩაის მრეწველობის მუშაკები, თუ აქტიურად, ყოველდღიურად არ დაეხმარებიან მათ სატრანსპორტო, სამშენებლო, მომმარაგებელი ორგანიზაციები.

მეჩაიეობის რაიონებში წარმატებით იყენებენ ფოთლის უტარო გადაზიდვას, რაც, სპეციალისტთა აზრით, ხელს უწყობს მშა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ამცირებს დანაკარგებს.

მეჩაიეებმა მიიღეს შესანიშნავი თანაშემწე—ხელის ჩაის საკრეფი მანქანები, მაგრამ მათ ყველგან ვერ იყენებენ დიდმწარმოებლურად, რადგან კადრები აკლიათ. მეურნეობათა ხელმძღვანელებმა სერიოზული ყურადღება უნდა დაუთმონ მცირე მექანიზაციის სპეციალისტთა მომზადებას. დიდი ყურადღება მართებთ აგრეთვე იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ სათადარიგო ნაწილებით ეს მანქანა-მექანიზმები, შექმნან საკვლელი ფონდი, მოაწყონ სარემონტო სახელოსნოები.

თათბირებზე დიდი ყურადღება დაეთმო „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდების, სოფლის

(დასასრული მე-3 გვ.).

საკდესის ცნობა

მზადება შეპირაპირებისათვის

ფრენის მართვის ცენტრი, 27 მაისი. (საკდესი). გრძელდება „სოიუზ-36“ ხომალდის ორბიტული ფრენა, რომელმაც მოსკოვის დროით 12 საათისათვის ათჯერ შემოუფრინა დედამიწას.

კოსმონავტებმა ვალერი კუბასოვმა და ბერტალან ფარკაშმა შეასრულეს ხომალდის ნაკვეთურების ჰერმეტიულობის შემოწმების, საბორტო სისტემების კონტროლის საშტატო ოპერაციები, განახორციელეს „სალუტ-6“-„სოიუზ-35“ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსთან შორეული დაახლოების პირველი მანევრი.

ლეონიდ პოპოვსა და ვალერი რიუმინს გუშინ სამედიცინო შემოწმების დღე ჰქონდათ. დღეს ეკიპაჟი მომავალი შეპირაპირებისათვის ემზადება.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით და ორბიტიდან მიღებული მოხსენებების თანახმად, „სოიუზ-36“ ხომალდისა და „სალუტ-6“-„სოიუზ-35“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

ამბანაგები პოპოვი, რიუმინი, კუბასოვი და ფარკაში თავს კარგად გრძნობენ.

საერთაშორისო ეკიპაჟი ორბიტულ კომპლექსში

1980 წლის 27 მაისს 22 საათსა და 56 წუთზე მოსკოვის დროით „სოიუზ-36“ კოსმოსური ხომალდი შეუპირაპირდა „სალუტ-6“-„სოიუზ-35“ ორბიტულ კომპლექსს.

შესაპირაპირებელი კვანძის ჰერმეტიულობის შემოწმების შემდეგ ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში არიან ხომალდის მეთაური, ორვზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვალერი კუბასოვი და კოსმონავტი მკვლევარი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე ბერტალან ფარკაში, გადავიდა „სალუტ-6“ სადგურში.

დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში „სალუტ-6“-„სოიუზ-35“-„სოიუზ-36“ პილოტირებულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში მუშაობს საერთაშორისო ეკიპაჟი, კოსმონავტები პოპოვი, რიუმინი, კუბასოვი და ფარკაში.

საერთაშორისო ეკიპაჟის სამეცნიერო პროგრამა, რომელიც ერთად შეიმუშავეს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებმა, გათვალისწინებულია შვიდი დღისათვის.

გარემო ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების შესწავლის პროგრამის თანახმად, კოსმონავტები უნდა დაკვირდნენ დედამიწის ზედაპირს, გადაიღონ მისი ფოტოსურათი მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის, მათ შორის სოფლისა და სატყეო მეურნეობის ინტერესებისათვის.

საერთაშორისო ეკიპაჟის სამუშაოთა პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამედიცინო-ბიოლოგიურ კვლევასა და ექსპერიმენტებს, რომელთა მომზადებაში მონაწილეობდნენ უნგრელი სპეციალისტები.

საერთაშორისო ეკიპაჟი განაგრძობს აგრეთვე კვლევასა და ექსპერიმენტებს, რომლებიც დაიწყეს „სალუტ-6“ სადგურში სოციალისტური ქვეყნების კოსმონავტთა ფრენის დროს.

დასახულ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ კოსმონავტები კუბასოვი და ფარკაში დედამიწაზე დაბრუნდებიან „სოიუზ-35“ ხომალდით, რომელმაც კოსმონავტები პოპოვი და რიუმინი სადგურში მიიყვანა 1980 წლის 10 აპრილს.

საერთაშორისო ეკიპაჟის ყველა წევრი თავს კარგად გრძნობს.

„სალუტ-6“-„სოიუზ-35“-„სოიუზ-36“ ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

ამხანაგები პოპოვი, რიუმინი, კუბასოვი და ფარკაში შეუდგნენ ფრენის პროგრამის შესრულებას.

„სალუტ-6“-„სოიუზ-35“-„სოიუზ-36“

ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საერთაშორისო ეკიპაჟს კოსმონავტებს პოპოვს, რიუმინს, კუბასოვსა და ფარკაშს

ძვირფასო ამხანაგებო!

უგულითადესად მოგესალმებით და გულწრფელად გილოცავთ ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში მუშაობის წარმატებით დაწყებას.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხები შეუნელებელი ყურადღებით ადევნებენ თვალს თქვენს ძნელ და პასუხსაგებ შრომას. ძვირფასო მეგობრებო, ისინი დარწმუნებული არიან, რომ ღირსეულად განაგრძობთ სოციალისტური თანამეგობრობის საერთაშორისო ეკიპაჟების ნაყოფიერი საქმიანობის სახელოვან ტრადიციებს.

ყოველ ახალ საერთაშორისო კოსმოსურ ფრენასთან ერთად სულ უფრო საფუძვლიანად და ღრმად სრულდება „ინტერკოსმოსის“ ერთიანი პროგრამა, რომელიც გულისხმობს კოსმოსური სივრცის ათვისებან მშვიდობიანი მიზნით, ჩვენი ხალხების კეთილდღეობისა და მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის.

თქვენი შრომით, ძვირფასო ამხანაგებო, არსებითი წვლილი შეგაქვთ ფუნდამენტურ კვლევაში, გამოყენებითი პრობლემების გადაჭრაში, მთელ მსოფლიოს უჩვენებთ სოციალიზმის უზარმაზარ მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს. კოსმოსურ სივრცეში ახალი სოციალისტური საერთაშორისო ეკიპაჟი, რომელიც, ისევე როგორც მისი წინამორბედნი, მშვიდობიან კვლევას ეწევა, უჩვენებს კაცობრიობას, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხები გულდაჯერებით შესაქცერად მომავალს, თანამიმდევრულად ადგანან მშვიდობის გზას.

ორბიტულ ლაბორატორიაში მხარდამხარ რომ მუშაობთ, თქვენ იძენთ კოსმოსში ძმური თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს გამოცდილებას, რომლის ორგანიზაციაში სოციალისტური ქვეყნები პიონერები არიან. თქვენი კოსმოსური ფრენა მოქმედი ინტერნაციონალიზმის მკაფიო მაგალითია.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო პოპოვ, რიუმინ, კუბასოვ და ფარკაშ, ღირსეულად, როგორც კომუნისტებს შეფერით, გაამართლებთ თქვენთვის გაწეულ დიდ ნდობას. გისურვებთ ფრენის რთული პროგრამის წარმატებით შესრულებას და მშობლიურ დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნებას.

ლ. ბრეჟნევი **ი. კადარი**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ

იანოშ კადარს

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ და იანოშ კადარ!

სულითა და გულით მოგახსენებთ მადლობას გულთბილი მოსალმებისა და კეთილი სურვილებისათვის.

აღგთქვამთ თქვენ, ჩვენი მოძმე ქვეყნების პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობას, რომ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საერთაშორისო ეკიპაჟის წევრები, ყოველ ღონეს ვიხმართ ჩვენთვის დაკისრებული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების შესახებ სოციალისტური ქვეყნების ერთობლივი პროგრამით მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. ჩვენი ინტერნაციონალური ეკიპაჟი ძალ-ღონესა და უნარს არ დაიშურებს, რათა ღირსეულად გამართლოს ჩვენი ქვეყნების ხალხთა დიდი ნდობა.

„სალუტ-6“-„სოიუზ-35“-„სოიუზ-36“ ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟი

ლ. პოპოვი **ვ. რიუმინი**
ვ. კუბასოვი **ბ. ფარკაში**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ

იანოშ კადარს

მოგახსენებთ, რომ „სალუტ-6“-„სოიუზ-35“-„სოიუზ-36“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საერთაშორისო ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში არიან საბჭოთა და უნგრელი კოსმონავტები, შეუდგა ერთობლივი სამეცნიერო კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამის შესრულებას.

ორბიტული კომპლექსის ყველა საბორტო სისტემა ნორმალურად მუშაობს.

ეკიპაჟის წევრები თავს კარგად გრძნობენ.

მთელ ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმართ ფრენის პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა და უნგრელი ხალხების, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მეგობრობა!

„სალუტ-6“-„სოიუზ-35“-„სოიუზ-36“ ორბიტული კომპლექსის ეკიპაჟი

ლ. პოპოვი **ვ. რიუმინი**
ვ. კუბასოვი **ბ. ფარკაში**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა 27 მაისს კრემლში ხალხთა მეგობრობის ორდენი გადასცა იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ა. ნ. მუჰამედს.

სურათზე: ჯილდოს გადაცემის დროს (მასალა იხილეთ მე-2 გვერდზე).

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-სამხრეთ იემენის მოლაპარაკება

27 მაისს კრემლში მოლაპარაკებას შეუდგნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ალი ნასერ მუჰამედი, იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. მუთიეი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ა. ვალი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ა. ბააზბი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ს. მუჰამედი.

მოლაპარაკება გულთბილ, ამხანაგურ ატმოსფეროში მიმდინარეობს. გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-სამხრეთ იემენის მეგობრული ურთიერთობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხებზე. საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული იემენის ხელმძღვანელებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ეს ურთიერთობა კვლავაც განმტკიცდება და გაფართოვდება ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მკვიდრ საფუძველზე.

აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვისას მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ანტიარაბული კემპ-დევიდის გარიგების მონაწილეთა ცდები, რომ აიძულონ არაბები დასთანხმდნენ სეპარატულ გარიგებებს ისრაელთან, მხოლოდ აგრესორის ინტერესებს ემსახურება და აბრკოლებს ახლო აღმოსავლეთში ყოვლისმომცველი სამართლიანი და მტკიცე მშვიდობიანი მოწესრიგების მიღწევას.

(დასასრული მე-2 გვ.)

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

28 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ბარციკოვსკი. იგი მეთაურობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას, რომელიც თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის გამოფენის „გაკეთებულია პოლონეთში“ გახსნაზე.

მასთან ერთად იყვნენ პოლონეთის დელეგაციის წევრები—პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობისა და საზღვაო მეურნეობის მინისტრის მოადგილე ტ. ნესტეროვიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და ფინანსთა განყოფილების გამგის მოადგილე მ. ხოლდაკოვსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს სავაჭრო მრჩეველი, სრულუფლებიანი მინისტრი ვ. გურსკი, პოლონეთის საგარეო-სავაჭრო პალატის თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩიშევსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თანამშრომელი ს. როევსკი.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა, აღინიშნა, რომ გამოფენა „გაკეთებულია პოლონეთში“ დამაჯერებლად გვიჩვენებს მომძე ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიღწევებს, ქვეყნისა, რომელიც მდიდს სოციალისტური ინტეგრაციის გზით. თბილისელები დიდ ინტერესს იჩენენ გამოფენისადმი.

ამხ. ე. ა. შევარდნაძემ თქვა, რომ საქართველოს, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის კომუნისტები, მშრომელები, ყურადღებით ადევნებდნენ თვალს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VIII ყრილობის მუშაობას, ინტერესით ეცნობოდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. გერეკის მოხსენებას, რომელმაც ღრმად და მეცნიერულად გააანალიზა თანამედროვე საერთაშორისო ვითარება და პოლონეთის მიღწევები სოციალიზმის მშენებლობაში. ამხ. ე. ა. შევარდნაძემ საგანგებოდ აღნიშნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელის ინიციატივა, რომელმაც ვარშავაში მოლაპარაკებისათვის მიიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და საფრანგეთის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დესტენი.

— სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა უაღრესად ხალხური პოლიტიკაა, რომელიც შეესაბამება კაცობრიობის ძირეულ ინტერესებს, — თქვა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.—ეს ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოიხატა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური კონსულტაციო კომიტეტის თათბირის მუშაობაში, რომელიც ამას წინათ დამთავრდა მომძე პოლონეთის. დედაქალაქში.

ამხ. ე. ა. შევარდნაძე სტუმრებს ესაუბრა რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დასახული პირველი რიგის ამოცანების შესახებ. ილაპარაკა რა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეული წარმატებების შესახებ, მან აღნიშნა, რომ საქართველოს მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დამკვრელური მუშაობით დაამთავრონ მეათე ხუთწლედი, ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

პოლონეთის დელეგაციის სახელით ამხ. კ. ბარციკოვსკიმ გულითადი მადლობა გადაიხადა თბილისში გულთბილი მასპინძლობისათვის და გამოფენის მოწყობაში ეფექტიანი ხელშეწყობისათვის. მან დაახასიათა გამოფენის შინაარსი და მიმართულება და ილაპარაკა ეკონომიკის ყველა დარგში პოლონეთის მიღწევების შესახებ.

საუბრის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საქმიანი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, რომელიც ეყრდნობა მტკიცე ეკონომიკურ საფუძველს და მეგობრობისა და ძმობის დიდი ხნის ტრადიციებს.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. მ. ივანოვი, სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ე. კ. პიტოვრანოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრნ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები შ. ზ. ბერიანიძე და ვ. მ. ხინობა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის საინფორმაციო ბიუროს რწმენებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ს. ელიგულაშვილი, რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გ. ოყროშიძე.

28 მაისს პოლონეთის მთავრობის დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების VIII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების მორიგი მე-8 ყრილობა გაიხსნება 1980 წლის 30 მაისს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 29 მაისს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში (ი. ჭავჭავაძის გამზირი, 35) **დილის 9 საათიდან 18 საათამდე, ხოლო 30 მაისს — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში დილის 8 საათიდან.**

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-სამხრეთ იემენის მოლაპარაკება

(დასასრული)

ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნ. მუჰამედმა თქვეს, რომ საჭიროა ავღანეთის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგება. მან საიმედოდ უნდა უზრუნველყოს ავღანეთის მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი ჩარევის სრული შეწყვეტა და განუახლებლობა. მოლაპარაკების მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს ირანის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო პროვოკაციები, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენა, რომელსაც მასზე ახდენენ ამერიკის შეერთებული შტატები და ვაშინგტონის ზოგიერთი მოკავშირე.

მხარეებმა დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული კურსი, რომელიც ისწრაფვის განიმტკიცოს სამხედრო-სტრატეგიული პოზიცია ახლო და შუა აღმოსავლეთში. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ინდოეთის ოკეანეში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის ზრდა საფრთხეს უქადის მრავალი ქვეყნის უშიშროებას და დამოუკიდებლობას, აბრკოლებს ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გადაქცევას.

ორივე მხარემ ერთსულოვნად განაცხადა, რომ საერთაშორისო საქმეებში კვლავაც უნდა გატარდეს კურსი, რომელიც ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებას, გამალებული შეიარაღების შეკავებას, ომის საფრთხის კერების ლიკვიდაციას, ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამკვიდრებას.

მოლაპარაკებაში მონაწილეობენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ვ. ოგარკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის რეფერენტი ე. მ. სამოტეკინი, სსრ კავშირის ელჩი იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფ. ნ. ფედოტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ო. ა. გრინევსკი;

სამხრეთ იემენის მხრივ — მინისტრთა საბჭოს საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ა. ჰამერი, მრეწველობის მინისტრი ა. გ. ა. კადერი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ა. ა. ად-დალი, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საჰაერო დაცვის სარდალი, პოდპოლკოვნიკი ა. ალეივო, იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორის განყოფილების სექტორის გამგე შ. ა. ალი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სსრ კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილების გამგე ი. ა. სალეხი.

28 მაისს კრემლში დამთავრდა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ა. ნ. მუჰამედი.

ლ. ი. ბრეჟნევი მიესალმა სამხრეთ იემენის ხელმძღვანელობის მტკიცე გადაწყვეტილებას განაგრძოს სამხრეთიემენელი ხალხის ინტერესების შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელების კურსი, და წარმატება უსურვა იემენის სოციალისტურ პარტიას, დემოკრატიული იემენის შრომელებს. ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავინდებურად იქნება მეგობარი სამხრეთიემენელი ხალხის მხარეზე და დაეხმარება რევოლუციის მონაპოვართა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვაში, იმპერიალიზმისა და რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

მოლაპარაკება შეხედულებათა სრული ერთიანობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

ვიზიტის შედეგების გამო შეთანხმებულია ერთობლივი კომუნიკე, რომელიც გამოქვეყნდება.

(საკდესი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-სამხრეთ იემენის დოკუმენტებს

28 მაისს კრემლში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობისა და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმებებს ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შუდმეი კომისიის შექმნის და თბოელექტროსადგურების მშენებლობაში თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე ოქმს ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების შესახებ.

დოკუმენტებს ხელი მოაწერეს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვმა და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარე ა. ნ. მუჰამედმა.

ამ ჯილდოთი ჩვენი სამშობლო აღნიშნავს, ამხანაგო მუჰამედ, თქვენს დიდ დამსახურებას ეროვნული განთავისუფლების საქმისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში, საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული იემენის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში.

ჩვენთვის ახლობელი და გასაგებია სამხრეთიემენელ მეგობართა ღონისძიებები, რომელთა მიზანია ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცება, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ახალი საზოგადოების გეგმაზომიერი მშენებლობა იემენის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით. და სულითა და გულით გისურვებთ წარმატებებს ამ გზაზე.

ჩვენ ვიზიარებთ აგრეთვე თქვენს მისწრაფებას იმისადმი— და ამას ჩვენი მხრივ ყოველნაირად შეუწყობთ ხელს, — რათა ჩვენი ქვეყნების ნაყოფიერი თანამშრომლობა კვლავაც წარმატებით ვითარდებოდეს სსრ კავშირისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ს. ა. სკაჩკოვს და იემენის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრმა ა. გ. აბდელკადერმა.

დოკუმენტების ხელმოწერას დესწრნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრომინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

სამხრეთ იემენის მხრივ ხელმოწერას დაესწრნენ იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ა. ნ. მუჰამედი, მისი თანამხლები სამხრეთიემენელი სახელმწიფო მოღვაწენი.

საბჭოთა ჯილდოს გადაცემა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა 27 მაისს კრემლში იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ა. ნ. მუჰამედს გადასცა ხალხთა მეგობრობის ორდენი.

ჯილდოს გადაცემის დროს დარბაზში იყვნენ ამხანაგები ვ. ვ. გრინინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

სამხრეთ იემენის მხრივ იყვნენ ა. ნ. მუჰამედის თანმხლები სახელმწიფო მოღვაწენი.

ჯილდოს გადაცემისას ამხანაგმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდ კმაყოფილებას მანიჭებს გადავცე დღეს ხალხთა მეგობრობის ორდენი იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ალი ნასერ მუჰამედს.

ამ ჯილდოთი ჩვენი სამშობლო აღნიშნავს, ამხანაგო მუჰამედ, თქვენს დიდ დამსახურებას ეროვნული განთავისუფლების საქმისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში, საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული იემენის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში.

ჩვენთვის ახლობელი და გასაგებია სამხრეთიემენელ მეგობართა ღონისძიებები, რომელთა მიზანია ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცება, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ახალი საზოგადოების გეგმაზომიერი მშენებლობა იემენის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით. და სულითა და გულით გისურვებთ წარმატებებს ამ გზაზე.

ჩვენ ვიზიარებთ აგრეთვე თქვენს მისწრაფებას იმისადმი— და ამას ჩვენი მხრივ ყოველნაირად შეუწყობთ ხელს, — რათა ჩვენი ქვეყნების ნაყოფიერი თანამშრომლობა კვლავაც წარმატებით ვითარდებოდეს სსრ კავშირისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის საფუძველზე.

გულითადად გილოცავთ, ამხანაგო მუჰამედ, საპატიო ჯილდოს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ახალ დიდ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

საპასუხო სიტყვაში ამხანაგმა **ა. ნ. მუჰამედმა** თქვა:

ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

ძვირფასო საბჭოთა ამხანაგებო!

ამ ბედნიერ წუთებში, ამ საზეიმო ცერემონიაზე უსაზღვროდ მოხარული ვარ უღრმესი მადლობა მოვახსენო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ხალხთა მეგობრობის ორდენით ჩემი დაჯილდოებისათვის. ამ საპატიო ჯილდოს რომ ვიღებ, მინდა გულით გითხრათ, რომ ეს იემენის სოციალისტური პარტიის, ჩვენი მთავრობისა და ხალხის ჯილდოა.

ეს მოვლენა განასახიერებს საბჭოთა და იემენელი ხალხების მხურვალე მეგობრობას, სიმბოლურად გამოხატავს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარების კიდევ უფრო ფართო პერსპექტივებს.

ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

ძვირფასო საბჭოთა ამხანაგებო!

მსოფლიოს ხალხებისათვის არაფერია მეგობრობაზე უფრო ძვირფასი. მეგობრობა მშვიდობა და თანხმობაა. იგი აღკვეთს ომისა და აგრესიის საფრთხეს. მას შემდეგ, რაც ჩვენ, ადენსა და მოსკოვში, მეგობრობის გზა ავირჩიეთ, იემენელ და საბჭოთა ხალხებს შორის . მანძილი მნიშვნელოვნად შემცირდა. უფრო მტკიცდა, ჩვენ ყველს შესანიშნავი მაგალითი ვუჩვენეთ ამ სარბიელზე. ხატოვნად რომ ვთქვათ, ყოველ იემენელს, თითოეულ საბჭოთა ადამიანს მკერდს უმშვენებს ჯილდო, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ჩვენს მეგობრობას, ჩვენს ორმხრივ მისწრაფებას — განვაგრძოთ და განვამტკიცოთ იგი.

ჩვენ, დემოკრატიულ იემენში, მაღლიერებით ვგრძნობთ ამ მეგობრობის სიკეთეს. მისი გამოხატულებაა ინტერნაციონალისტური შხარდაჭერა, რომელსაც საბჭოთა ხალხი უწევს ჩვენს ხალხს ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და დამკვიდრებისათვის, სოციალური პროგრესის მიღწევებისათვის ბრძოლაში. ჩვენს მეგობრობას სამართლიანი, კეთილშობილური მიზნები აქვს. ეს არის მეგობრობა ერთობლივ ბრძოლაში იმპერიალიზმის, უწინარეს ყოვლისა ამერიკის წინააღმდეგ, რომელიც ხალხთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის მთავარ მოწინააღმდეგედ გვევლინება.

როგორც არაბ ხალხთა სამართლიან ბრძოლაში. უწინარეს ყოვლისა, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით პალესტინელი ხალხის ბრძოლაში ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ, ისე ინდოეთის ოკეანესა და არაბეთის ზღვაში ამერიკის იმპერიალიზმის იმ პროვოკაციების მოგერიებაში, რომლებიც არაბული ქვეყნების, ირანის, ავღანეთის, აფრიკის რქის რაიონის ხალხების, აგრეთვე სოციალისტური კუბის წინააღმდეგ და საერთოდ თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის მსოფლიოს ხალხთა ბრძოლის წინააღმდეგ არის მიმართული, — საბჭოთა ადამიანები და იემენელები ყველგან და ყველაფერში მუდამ ადგანან მეგობრობის გზას, იმ იდეალების დამკვიდრებისათვის ბრძოლის გზას, რომლებიც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გამოაცხადა და კაცობრიობის პროგრესის ხანის დროშა გახდა.

ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

ძვირფასო საბჭოთა ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ უღრმესი მადლიერებისა და კმაყოფილების გრძნობით მოგმართოთ იმის გამო, რომ ხალხთა მეგობრობის ორდენით დამაჯილდოეთ. ეს ახალ ძალებს მმატებს, რათა კვლავაც მტკიცედ და თანამიმდევრულად ვიაროთ საბჭოთა კავშირ-იემენის მეგობრობის კურსით, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მტრებთან ბრძოლის კურსით.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, ვუსურვო მეგობარ საბჭოთა ხალხს შემდგომი პროგრესი და აყვავება, ახალი წარმატებანი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში დიადი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს იემენ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!

გაუმარჯოს არაბეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!

დიდება დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას!

ორდენის გადაცემის დამსწრე საბჭოთა კავშირისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეებმა გულთბილად მიულოცეს ა. ნ. მუჰამედს საპატიო ჯილდო. (საკდესი).

მეგობრულ ვითარებაში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 27 მაისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ა. ნ. მუჰამედის პატივსაცემად.

ა. ნ. მუჰამედთან ერთად სადილზე იყვნენ მისი თანმხლები სამხრეთიემენელი სახელმწიფო მოღვაწენი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო ალი ნასერ მუჰამედ!

ძვირფასო მეგობრებო!

გულითადად მახარებს მოგესალმოთ აქ, მოსკოვში.

საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული იემენის ხელმძღვანელთა შეხვედრები ყოველთვის კარგ იმპულსს ანიჭებს ხალმე ჩვენი ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. ამ ნიშნით მიმდინარეობს ჩვენი ახლანდელი შეხვედრაც.

თქვენთან ერთად გულწრფელად ვხარობთ, რომ მოკლე ისტორიულ ვადაში — ათ წელიწადზე ოდნავ მეტი ხნის განმავლობაში დემოკრატიული იემენი განთავისუფლდა იმპერიალიზმისა და შინაური რეაქციის მოძალეობისაგან.

ჩვენ სოლიდარობის გრძნობით ვეკიდებით თქვენი ქვეყნის მშრომელებს, რომლებიც იემენის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით დღეს ღრმა სოციალურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს ახორციელებენ და ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა თავი დააღწიონ საუკუნო ჩამორჩენილობის უღელს.

ამ საქმეში საბჭოთა კავშირი კვლავინდებურად ყოველნაირად გეხმარებათ.

მეგობრობის ხელშეკრულებით განმტკიცებული ჩვენი თანამშრომლობა არ არის მიმართული რომელიმე სხვა ქვეყნის — არც მეზობელი და არც შორეული ქვეყნების წინააღმდეგ, არ ემუქრება ჩარევით მათს საშინაო საქმეებში, ნურავის ნუ შეეპარება ამაში ეჭვი. არც ახლო, არც შუა აღმოსავლეთში, არც მსოფლიოს სხვა რაიონებში საბჭოთა კავშირი არ იღვწის ეგოისტური მიზნების მისაღწევად, არ ეძებს სარგებელს სხვის ხარჯზე.

ჩვენ პატიოსან და პრინციპულ პოლიტიკას ვადგავართ, ჩვენ მშვიდობის, იმის მომხრენი ვართ, რომ სახელმწიფოებს შორის ყველა სადავო საკითხი წყდებოდეს მშვიდობიანი საშუალებებით, უშანტაჟოდ და დაუმუქრებლად. თუ ახლა მსოფლიო ვითარება მნიშვნელოვნად გართულდა, ამის უმთავრესი მიზეზი შეეხებოდა მდგომარეობის მილიტარისტული კურსი გახლავთ.

ვაშინგტონში ცდილობენ გამართლონ გამალებული შეიარაღება, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იარაღის ჟღარუნი, ათობით სახელმწიფოს მთავრობების მიმართ უტიფარი მაჯების მტვრევის პოლიტიკის გატარება და იმას იმიზეზებენ, რომ საბჭოთა კავშირმა ავღანეთს სამხედრო დახმარება გაუწია ავღანეთის რევოლუციისადმი მტრული შემოსევების მოსაგერიებლად.

ეს, რა თქმა უნდა, თვალთმაქცური საბაბია, ვინაიდან არც ავღანეთი და არც მისი დამხმარენი არავის არ დასხმიან თავს, არავის არ დამუქრებიან და არ ემუქრებიან.

თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, კარგად მოგეხსენებათ იმპერიალისტთა ზნე.

ეთიოპია არც არავის დასხმია თავს და არც არავისთვის უსლია ხელი, როცა მას თავს დაესხნენ გარეშე ძალები. ამ ძალებს უბიძგებდა და აქეზებდა დასავლეთი, რომელსაც სურდა ბოლო მოეღო ეთიოპიის რევოლუციისათვის.

არც ანგოლა დასხმია თავს ვიღაცეს, მას დაესხნენ კონტრრევოლუციონერთა და დაქირავებულთა ბანდები, რომლებიც ნატოს ქვეყნებმა და დამშაბმა შეიარაღეს და აღუჭურვეს ანგოლის რევოლუციის განადგურების მიზნით. მამინაც და შემდეგაც რეაქციის თავდასხმები უკუაგდეს რევოლუციურმა ხალხებმა, რომელსაც ინტერნაციონალისტურ ძმურ დახმარებას უწევდნენ მშვიდობისა და პროგრესის ძალები.

ახლა იმპერიალისტებმა და მათმა დამქაშებმა აიტეხეს თავიანთი ავბედითი თამაში ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს — ავღანეთის მიმართ, რომელთანაც საბჭოეთი მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით არის დაკავშირებული.

ცხადია, ჩვენ ყურად უნდა გვეღო ავღანეთის თხოვნა დახმარების შესახებ, მით უმეტეს, რომ ავღანეთის რევოლუციის მტრების მოქმედება საფრთხეს უქმნიდა ჩვენი სამხრეთი საზღვრის უშიშროებასაც.

იმათ, ვინც ახლა, თუნდაც ყველაზე ალალი მოსაზრებით, მოგვეიწოდეს, შეეწყვეტეთ ავღანეთს სამხედრო დახმარებაო, ჩვენ ვეუბნებით: უწინარეს ყოვლისა იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ აღკვეთოთ მიზეზები, რომლებმაც აუცილებელი გახადა ეს დახმარება. პოლიტიკური მოწესრიგება სავსებით შესაძლებელია. მისი თავიდათავია მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიიდან კონტრრევოლუციური ძალების ავღანეთში სამხედრო შეჭრის გარანტირებული შეწყვეტა.

ამ ცოტა ხნის წინათ ავღანეთის მთავრობამ პოლიტიკური მოწესრიგების კონკრეტული პროგრამა გამოაქვეყნა, ეს სოლიდური წინადადებებია. და ავღანეთის მთავრობას ამ წინადადებებისადმი სერიოზული დამოკიდებულების და საქმიანი მოლაპარაკების იმედი აქვს. ახლა ჯერი ავღანეთის მეზობლებზეა, უწინარეს ყოვლისა, პაკისტანზეა.

საბჭოთა კავშირი ეთანხმება და მხარს უჭერს ავღანეთის მთავრობის წინადადებებს. შემოთავაზებული მოწესრიგების, გარედან ყოველგვარი ჩარევის შეწყვეტისა და განუახლებლობის შესაბამისი საერთაშორისო გარანტიების კონტექსტით შეიძლებოდა გადამწყდარიყო აგრეთვე საკითხი ავღანეთის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის დაწყების ვადებისა და ამ მომართულებით შემდგომი ნაბიჯების შესახებ. გადამწყდარიყოო, რომ გამბობთ, რა თქმა უნდა, ავღანეთის მთავრობასთან მორიგებას ვგულისხმობთ.

იმპერიალისტებმა თავიანთი ხრიკებით ახლო აღმოსავლეთშიც გაართულეს ვითარება.

ვაშინგტონს იმედი ჰქონდა, რომ სადათის ღალატს და სეპარატულ გარიგებათა გზას გამოიყენებდა არაბული ქვეყნების გათიშვისათვის და ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის ინტერესების გრძელვადიანი უზრუნველყოფისათვის. ახლა კემპ-დევიდის ეს პოლიტიკა აშკარად ჩიხში ექცევა. ამერიკის შეერთებული შტატები უკვე დაუფარავად ცდილობს დაამკვიდროს თავისი სამხედრო ყოფნა ამ რეგიონსა და მის ახლომახლო აზია-აფრიკის რაიონებში.

მოგონილი საბაბით აქ თავი მოუყარეს ფლოტისა და ავიაციის დიდ ძალებს, გაფაციცებით ქმნიან ამერიკის სამხედრო ბაზების ქსელს. მათი მთავარი დანიშნულებაა პიტოლტი ჰქონდეთ მიშვერილი არაბებისათვის და დაეპატრონონ მათს ბუნებრივ სიმდიდრეს.

ამასობაში კი ისრაელი სულ უფრო გათავხედდა და განუკითხავად აშობს პალესტინელი ხალხის უფლებებს, სჩადის აგრესიის აქტებს ლიბანში.

ყოველივე ეს კიდევ უფრო ამძაფრებს ვითარებას, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ახლო აღმოსავლეთისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ხალხებს.

დგება საკითხი: ხომ არ არის დრო, შეწყდეს ისედაც გაჭიანურებული ფაცაფუცი სეპარატულ გარიგებათა ატეხილ ულ ულ ულ

დავძლიოთ უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა!

(დასასრული).

მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელებას. აღინიშნა, რომ დადგენილება ითვალისწინებს მეციტრუსეობის განვითარების გრანდიოზულ პროგრამას და თუ მის განხორციელებას დაუყოვნებლივ არ შეუდგებით, ძვირფას დროს დაკარგავთ.

სპეციალისტთა წინაწარი პროგნოზებით, წელს ციტრუსის მოსავალს ისეთი პირი უნნს, რომ შარშანდელ — რეკორდულზე ნაკლები არ უნდა იყოს. ეს შესაბამის მეციტრუსეობის მეურნეობებს, ამ დარგის ყველა მუშაკს დიღსა და პასუხსაგებ ამოცანებს აკისრებს პლანტაციების უხვი მოსავალის მოწევის, ხილის უდანაკარგოდ მოკრეფის, ხარისხოვანი ტრანსპორტირებისა და გადამუშავების უზრუნველყოფის საქმეში.

ამასთან დაკავშირებით თათბირებზე აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ციტრუსის ბაღების გაშენების გეგმების უთუო შესრულებას, მოვლის გაუჯობესებას, მეცნიერთა რეკომენდაციებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას. ციტრუსის ბაღის ყოველი ჰექტარი უნდა იღებდეს მინერალური და ორგანული სასუქების სრულ დოზებს, ზუსტად უნდა მოვაწყოთ ნარგავების მკურნალობის ციკლი, არ დავუშვათ მათი დაავადება და მავნებლების მიერ დაზიანება, განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ ციტრუსის ბაღებისათვის ზამთრობით.

ორგანიზებულად დავამთავროთ თესვა, უზრუნველვყოთ მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობა

ზონალური თათბირების მოწვილებმა განსაჯეს თესვის ტემპის გაძლიერების გზები, წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სასურსათო და საფურაჟე კულტურის — სიმინდის უხვი მოსავლის მიღებას. დასახულია ამოცანა — საგაზაფხულო თესვა დაამთავრონ არაუგვიანეს 1-5 ივნისისა.

საფუძვლიანი სკა-ბაასი მიმდინარეობდა თათბირებზე მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისა და მისი საკვები ბაზის განმტკიცების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII და XX პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. იმ მიზნის მიღწევაში, რომ საქართველოს შეუძლია გახდეს, უნდა გახდეს და უსათუოდ გახდება დიდად განვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა, გადამწყვეტია პირველადი პარტიული ორგანიზაციების, რაიონული, საქალაქო, საოლქო პარტიული კომიტეტების მებრძოლურობის გაძლიერება, მათი უნარი სწორად გაანაწილონ ძალები წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მთავარი ამოცანების გადაწყვეტას. მეცხოველეობისა და საკვებწარმოების ტექნოლოგიის საკითხებს უნდა განაგებდნენ კომპეტენტური, საქმის მცოდნე ადამიანები. მაგრამ, ჯერ კიდევ არიან ხელმძღვანელები და სპეციალისტები, რომლებიც კულტურულად უძღვებიან მეცხოველეობას. მათგან სარგებლობაც ნაკლებია.

ფერმების კომფლისტებმა უნდა აჩვენონ შრომაში თავდადების მაგალითი, შექმნან კოლექტივებში მკაცრი დისციპლინის, დაკისრებული საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის ატმოსფერო, ფართოდ გამოიყენონ რეზერვები, გაუძღვნენ დანარჩენებს, მიაღწიონ პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებას.

ყველგან არსებობს საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფის შესაძლებლობანი. აკი შეძლეს მახარაძის რაიონში გამოეძებნათ თივის დამზადების გადიდების შესაძლებლობანი. ამასვე ახმარენ მთელ ძალ-ღონეს აბაშის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, მთელი რიგი სხვა რაიონები. მაგრამ ამ შესაძლებლობებს არასრულად, ზოგან კი ცუდადაც იყენებენ. დაასახელეს მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვებწარმოებისა და საკვების დამზადების დაბალი დონის მაგალითები. განა დასაშვებია, რომ ზოგიერთ მეურნეობაში ჰექტარზე მხოლოდ 50-60 ცენტნერ სასილოსი სიმინდის მწვანე მასას იღებენ?

თათბირების მონაწილეთა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა საკვები კულტურების მოვლა-მოყვანისა და აღების დროს უფრო ეფექტიანად და რაციონალურად გამოიყენონ ტექნიკა, მექანიზმები, თივის, სენაჟის, სილოსის, სხვა საკვების დამზადებისათვის გამოიყენონ პროგრესული ტექნოლოგია და შრომის მოწინავე მეთოდები.

უაღრესად საჭიროა, როგორც ეს თათბირებზე აღინიშნა, რომ უნარიანად გამოიყენონ სავარგული, მოაგვარონ სხვადასხვა კულტურის მოვლა-მოყვანა — ინანგრიშონ, რომ სრულად უზრუნველყონ მეცხოველეობა მაღალხარისხოვანი საკვებით.

უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა კუთვნილი პირუტყვის საკვებთ უზრუნველყოფისათვის, ამასთან გვახსოვდეს, რომ აქ არსებობს ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების არსებითი რეზერვი.

თათბირებზე დაასახელეს მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, თუ რაოდენ მიზანშეწონილია მოსახლეობასთან კოოპერირება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებასა და დამზადებაში. ყერძოდ, აღინიშნა მახარაძის რაიონის გამოცდილება, სადაც წარმატებით წყდება საკუთარი წარმოების მეცხოველეობის პროდუქტებთ მოსახლეობის უზრუნველყოფის ამოცანა.

მოსაალის ბედი, ხაზგასმით აღინიშნა თათბირებზე, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად დაამთავრებენ მიწათმოქმედნი თესვას, ჩაატარებენ მას ოპტიმალურ ვადებში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე. სწორედ ასე ესმით

